



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „აკადემია“ - რუსთავის „ხარები“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	10/02/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	დავით მოძღვრიშვილი		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი, სულხან ჩიხლაძე	დარღვევა	✓ აღიარებულია უარყოფილია
დარღვევა	9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სასანიფათოდ სასანიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა	✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/02/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	თორნიკე კალანდარიშვილი - მწვრთნელი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, სულხან ჩიხლაძის, წითელი ბარათის ომი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, სულხან ჩიხლაძის, წითელი ბარათის ომი
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

თბ „აკადემია“-ს მოთამაშე, დავით მოძღვრიშვილი, არ დაეთანხმა მსაჯის მიერ დარღვევის წითელი ბარათით შეფასებას, მისი თქმით მაღალ ბოჭვას ნამდვილად ჰქონდა ადგილი თუმცა, უშუალოდ კონტაქტის წინ, მოწინააღმდეგის უეცარი მოძრაობის (მოწინააღმდეგე შემოტრიალდა მისკენ ზურგით და მოიხარა ბოჭვის თავიდან ასაცილებლად) შედეგად, მოხდა კონტაქტი თავდაპირველად მოწინააღმდეგის მხარში და შემდეგ მოხრის შედეგად კისრის არეში. თავით თავში კონტაქტი იყო ძალიან უმნიშვნელო რასაც მოწმობს ორივე მოთამაშის მდგომარეობა კონტაქტის შემდეგ.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 10/02/2023 გაიმართა დიდი 10-ს XIII ტურის მატჩი თბ „აკადემია“-სა და რუსთავის „ხარებს“ შორის.
2. თამაშის პირველი ტაიმის დასასრულს (42-ე წთ. ოქმის მიხედვით) თბ. „აკადემია“-ს მოთამაშემ, დავით მოძღვრიშვილმა, უხეში მაღალი ბოჭვა გაუკეთა მოწინააღმდეგეს.
3. მატჩის მსაჯმა, სულხან ჩიხლაძემ, ვიდეორეფერისთან გადამოწმების შემდე, დარღვევა შეაფასა როგორც წითელი ბარათის ტოლფასი და დავით მოძღვრიშვილს წითელი ბარათით დაატოვებინა სათამაშო მოედანი.

**სადისციპლინო კომისიის მსჯელობა**

1. სადისციპლინო კომისიამ, ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა, მრავალმხრივად შეაფასა დარღვევის გამომწვევი ყველა არსებული გარემოება და მიიჩნევს, რომ მიუხედავად დამრღვევი მოთამაშის მხრიდან მაღალი რისკის შემცველი წინდაუხედავი ქმედებისა, მოწინააღმდეგე მოთამაშემ უშუალოდ კონტაქტის წინ შეიცვალა ტანის(კორპუსის) მდგომარეობა (მოტრიალდა ზურგით და მოიხარა) რაც გახდა მბოჭავის მხარის კისრის არეში კონტაქტის მიზეზი. სადისციპლინო კომისიამ არსებული ვიდეომასალის მიხედვით სრულფასოვნად ვერ დაადგინა თავით თავში კონტაქტის ხარისხი, კონტაქტის დროს გამოყენებული ძალა და მხედველობაში მიიღო არსებული გარემოება მოთამაშეთე მდგომარეობის შესახებ უშუალოდ კონტაქტის შემდგომ(ოერივე მოთამაშეს არ აღენიშნებოდა დაზიანების კვალი და დაზარალებულმა მოთამაშემ გააგრძელა თამაში).
2. სადისციპლინო კომისია, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს იკავებს დამრღვევი მოთამაშის შემდგომი სანქციონებისგან.



გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	მიღებულია	✓ უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	არა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	არა	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება		

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	14/02/2023
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.